

საქართველოს კანონმდებლობის  
„გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან  
აცილების და აღმოფხვრისთვის  
გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის  
შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს  
2004/35/EC დირექტივასთან შესაბამისობის  
შეფასება



საქართველოს კანონმდებლობის  
„გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და  
აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“  
ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივასთან  
შესაბამისობის შეფასება



კვლევა ჩატარდა „მწვანე ალტერნატივას“ პროექტის „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებულ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება“ ფარგლებში. მწვანე ალტერნატივა მადლობას უხდის ევროკავშირის პროექტის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს მწვანე ალტერნატივას პოზიციას და არ შეიძლება განხილულ იქნეს ევროკავშირის შეხედულებათა ამსახველად.

© მწვანე ალტერნატივა, 2013

ავტორი: მერაბ ბარბაქაძე

ასევე წვლილი შეიტანა: ქეთი გუჯარაიძემ



## შინაარსი

<b>1. შესავალი</b> .....	4
1.1 კვლევის კონტექსტი და საჭიროება.....	4
1.2 კვლევის ფარგლები.....	5
1.3 კვლევის მეთოდოლოგია.....	5
1.4 ანგარიშის სტრუქტურა.....	6
<b>2. „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივის მოკლე მიმოხილვა</b> .....	6
<b>3. დირექტივით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა</b> .....	8
3.1 საქართველოს კონსტიტუცია.....	8
3.2 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.....	9
3.3 საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“.....	9
3.4 საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“.....	15
3.5 პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.....	17
3.6 ტექნიკური რეგლამენტი - გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა.....	18
3.7 საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მის მიმდინარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“.....	20
3.8 საქართველოს ტყის კოდექსი.....	20
3.9 საქართველოს საზღვაო კოდექსი.....	20
3.10 საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ და საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“.....	21
3.11 საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“.....	22
3.12 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.....	22
3.13 ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და დანაშაულის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროცედურების მარეგულირებელი საქართველოს კანონები.....	23
<b>4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის 2004/35/EC დირექტივასთან შესაბამისობის შედარება</b> .....	25
<b>5. დასკვნები და რეკომენდაციები</b> .....	31
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b> .....	32
<b>დანართი: საქართველოს ძირითადი გარემოსდაცვითი საერთაშორისო ხელშეკრულებების არასრული სია</b> .....	34

# 1. შესავალი

## 1.1 კვლევის კონტექსტი და საჭიროება

2013 წლის 29 ნოემბერს ქ. ვილნიუსში შედგა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების<sup>1</sup> პარაფირება, რომელიც მოწოდებულია, ჩაანაცვლოს საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“, მოახდინოს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავება და თანამშრომლობის ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ასოცირების შეთანხმება საქართველოს მისცემს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას. ამ და დოკუმენტით აღიარებული სხვა მიზნების მისაღწევად, შეთანხმებაში ჩამოყალიბებულია მთელი რიგი მოთხოვნები სხვადასხვა, მათ შორის, გარემოს დაცვის სფეროში. კერძოდ, გარემოს საკითხებს ეხება შეთანხმების მე-6 კარის (Other cooperation policies) მე-3 თავი (მუხლები 301 - 306) და ასევე, შეთანხმების 26-ე დანართი. შეთანხმების მე-6 კარის მე-3 თავში ჩამოყალიბებულია გარემოს საკითხებზე თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები და ჩამოთვლილია კონკრეტული მიმართულებები. ამასთან, 306-ე მუხლი აწესებს საქართველოს ვალდებულებას, დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა შეთანხმების 26-ე დანართში მოხსენიებულ ევროკავშირის აქტებსა და საერთაშორისო ინსტრუმენტებს.

შეთანხმების 26-ე დანართის პრეამბულაში კვლავ ხაზგასმულია საქართველოს ვალდებულება, ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა დანართში ჩამოთვლილ ევროკავშირის აქტებსა და საერთაშორისო ინსტრუმენტებს იმავე დანართითვე განსაზღვრულ ვადებში. დანართი მოიცავს 25 დირექტივასა და რეგულაციას ქვემოთ ჩამოთვლილი შვიდი მიმართულებით:

1. გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს დაცვის ინტეგრირება პოლიტიკის სხვა სფეროებში;
2. ატმოსფერული ჰაერის ხარისხი;
3. წყლის ხარისხი და რესურსების მართვა, ზღვის გარემოს ჩათვლით;
4. ნარჩენების მართვა;
5. ბუნების დაცვა;
6. სამრეწველო დაბინძურება და საწარმოო რისკები;
7. ქიმიური ნივთიერებების მართვა.

სწორედ ევროკავშირის დირექტივების პირველი ჯგუფის (ჰორიზონტული კანონმდებლობის<sup>2</sup>) შემადგენლობაში შედის ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: [http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013\\_en.htm](http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm)

<sup>2</sup> ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც თანაბრად ეხება გარემოს სხვადასხვა ელემენტის (მაგ., წყლის, ჰაერის, ნიადაგის) მარეგულირებელ კანონმდებლობას. ჰორიზონტული კანონმდებლობა არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი სექტორით, არამედ მოიცავს მთელ რიგ გარემოსდაცვით საკითხებს და ამიტომ, მას ხშირად „გამჭოლ კანონმდებლობასაც“ უწოდებენ. სექტორული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ჰორიზონტული კანონმდებლობა პროცედურული ხასიათისაა (მწვანე ალტერნატივა, 2013, „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება: ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“).

<sup>3</sup> Directive 2004/35/CE of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 on environmental liability with regard to the prevention and remedying of environmental damage. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004L0035:EN:NOT>

ასოცირების შეთანხმებით (დანართით), საქართველო ვალდებულია, ეტაპობრივად მიუახლოვოს კანონმდებლობა აღნიშნულ დირექტივას და შეასრულოს კონკრეტული ვალდებულებები დანართითვე დადგენილ ვადებში. კერძოდ, საქართველო ვალდებულია:

(ა) შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის ვადაში, მოახდინოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოს იდენტიფიცირება (დირექტივის მე-11 მუხლი);

(ბ) შეთანხმების ძალაში შესვლიდან 4 წლის ვადაში, უზრუნველყოს:

1. წესებისა და პროცედურების შექმნა, გარემოსთვის (წყლისთვის, მიწისთვის, დაცული სახეობებისთვის და ბუნებრივი საბინადრო გარემოსთვის (ჰაბიტატისთვის)) ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად, დამზინძურებელი იხდის პრინციპზე დაყრდნობით (მე-5, მე-6, მე-7 მუხლები და II დანართი);
2. მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება სახიფათო საქმიანობებზე (მუხლი 3(1)(ა) და III დანართი);
3. საქმიანობის განმახორციელებლებისთვის ვალდებულებების დაწესება პრევენციული (თავიდან ასაცილებელი) და აღმოფხვრითი ხასიათის ზომების მიღებასთან დაკავშირებით, ხარჯებისთვის პასუხისმგებლობის ჩათვლით (მე-5 - მე-10 მუხლები);
4. დაზარალებულთათვის, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით, ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მათ საშუალებას მისცემს, მოითხოვონ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოსგან ქმედების განხორციელება, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩათვლით (მე-12 და მე-13 მუხლები).

## 1.2 კვლევის ფარგლები

კვლევის მიზანია, შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის გარემოსდაცვით ჰორიზონტულ კანონმდებლობაში შემავალ ერთ-ერთ - „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივასთან. ევროკავშირის ჰორიზონტულ გარემოსდაცვით კანონმდებლობაში შემავალ სხვა დირექტივებთან<sup>4</sup> საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასება მოცემულია მწვანე ალტერნატივას მიერ 2013 წელს გამოცემულ პუბლიკაციაში „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება: ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“<sup>5</sup>.

## 1.3 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა, ეფუძნება „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივის და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ანალიზს. დოკუმენტების, კანონებისა და შესაბამისი კვლევების შესწავლის გარდა, კვლევის მომზადების პროცესში, აგრეთვე, ჩატარდა რამოდენიმე ინტერვიუ განხილულ საკითხებზე მომუშავე პირებთან.

<sup>4</sup> დირექტივა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ (Directive providing for public participation in EIA 2003/35/EC); დირექტივა „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ“ (Access to Information Directive 2003/4/EC); დირექტივა „ანგარიშგების შესახებ“ (Reporting Directive 91/692/EEC); დირექტივა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ (Environmental Impact Assessment Directive 85/337/EEC); დირექტივა „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ“ (Strategic Environmental Assessment Directive 2001/42/EC).

<sup>5</sup> ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

## 1.4 ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის მეორე თავში მოკლედაა მიმოხილული „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივის ძირითადი პრინციპები და მიდგომები. მომდევნო, მესამე თავში განხილულია საქართველოს ის ნორმატიული აქტები, რომლებიც დირექტივით რეგულირებულ საკითხებს ეხება. მესამე თავში წარმოდგენილია ცხრილი, სადაც წარმოჩენილია საქართველოს კანონმდებლობის დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობის სტატუსი. ბოლო თავში კი, წარმოდგენილია დასკვნა და რამოდენიმე რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

## 2. „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისა და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივის მოკლე მიმოხილვა

დირექტივა „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისა და ზიანის აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის 2004/35/EC (შემდგომში - 2004/35/EC დირექტივა) ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ხასიათის დირექტივაა, რომელიც „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპზე დაყრდნობით, ადგენს საფუძვლებს, ერთი მხრივ, გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისა და მეორე მხრივ, მიყენებული ზიანით დამდგარი შედეგების გამოსწორებისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ დირექტივა ეხება მხოლოდ სუფთა „ეკოლოგიურ ზიანს“, ის ეფუძნება საჯარო უწყებების უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს (ე.წ. „ადმინისტრაციულ მიდგომას“) რაც არსებითად განსხვავდება „ტრადიციული ზიანის“ (საკუთრებისთვის მიყენებული ზიანი, პირადი ზიანი, ეკონომიკური დანაკარგი) სამოქალაქო პასუხისმგებლობის სისტემისგან.

2004/35/EC დირექტივა „გარემოსთვის მიყენებულ ზიანს“ განმარტავს როგორც ზიანს, მიყენებულს დაცული სახეობებისთვის და ბუნებრივი საბინადრო გარემოსთვის (ჰაბიტატებისთვის), ზიანს წყლისთვის და ზიანს მიწისთვის. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ „გარემოსთვის მიყენებული ზიანის“ განმარტებაში ჰაერი ნახსენები არაა, 2004/35/EC დირექტივის მიხედვით, „გარემოსთვის მიყენებული ზიანი“ მაინც მოიცავს ზიანს, რომელიც გამოწვეულია ჰაერით გადატანილი ელემენტებით, რადგან ისინი ზიანს აყენებენ წყალს, ნიადაგს, დაცულ სახეობებს, ან ბუნებრივ საბინადრო გარემოს (ჰაბიტატს).

საქმიანობის განმახორციელებლები („ოპერატორები“) რომლებიც ახორციელებენ 2004/35/EC დირექტივის III დანართში მითითებულ სახიფათო საქმიანობას, ექცევიან ე.წ. „მკაცრი პასუხისმგებლობის“ რეჟიმის ქვეშ (იგულისხმება პასუხისმგებლობა, რომელიც არ საჭიროებს ბრალეულობის მტკიცებას). საქმიანობის განმახორციელებლებს რომლებიც ახორციელებენ სხვა ისეთი სახის საქმიანობას, რომელიც არაა გათვალისწინებული 2004/35/EC დირექტივის III დანართით, პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაცული სახეობებისთვის და ბუნებრივი საბინადრო გარემოსთვის (ჰაბიტატებისთვის) ბრალეულად მიყენებული ზიანისთვის. ასეთი შემთხვევებისთვის, 2004/35/EC დირექტივის მიხედვით, ყოველთვის სავალდებულოადაა მიჩნეული დადგენილ იქნეს მიზეზშედეგობრივი კავშირი საქმიანობასა და ზიანს შორის.

დირექტივით, ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც უკვე დაზარლდნენ, ან შესაძლოა დაზარალდნენ, ან აქვთ შესაფერისი ინტერესი (მაგალითად, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები), ან მოხდა მათი უფლებების ხელყოფა, უფლებამოსილი არიან, მოსთხოვონ ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს, მიიღოს შესაბამისი ზომები.

2004/35/EC დირექტივა მიზნად ისახავს „გარემოსთვის მიყენებული ზიანის“ თავიდან აცილებას და მისი შედეგების აღმოფხვრას. ამასთან, ის არანაირად არ ზღუდავს ჩვეულებრივ ზიანთან დაკავშირებული ანაზღაურების უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის მარეგულირებელი რომელიმე შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებით.

2004/35/EC დირექტივა არ გამოიყენება პირადი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევებში, ასევე კერძო საკუთრების დაზიანების, ან ეკონომიკური დანაკარგების შემთხვევებში და ამასთან არ მოქმედებს ამ სახის ზიანთან დაკავშირებულ არანაირ უფლებებზე. ეროვნულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მოუსვლელად, დირექტივა არ ანიჭებს კერძო მხარეებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის, ან მისი პოტენციური საფრთხის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უფლებას (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, 2004/35/EC დირექტივა არც ზღუდავს, ეროვნული კანონმდებლობით, ისევე როგორც რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას). 2004/35/EC დირექტივის მე-4 მუხლით გათვალისწინებულია ასევე მთელი რიგი გამონაკლისები, რომლებზეც არ ვრცელდება ამ დირექტივის მოქმედება. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი, ცალსახად განსაზღვრულია, რომ ეს დირექტივა გამოიყენება მხოლოდ გარემოსთვის მიყენებულ ისეთი სახის ზიანთან ან ამ ზიანის გარდაუვალ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია დიფუზური ხასიათის დაბინძურებით, რომლის დროსაც შესაძლებელია მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა ზიანსა და ინდივიდუალური საქმიანობის განმახორციელებლ(ებ)ის საქმიანობას შორის.

მნიშვნელოვანია 2004/35/EC დირექტივის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადებიც. კერძოდ, კომპეტენტური ორგანო უფლებამოსილია, მოახდინოს დირექტივით გათვალისწინებულ ნებისმიერ ზომასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების პროცედურის ინიცირება ზიანის მიყენებაში ან ასეთი ზიანის საფრთხის შექმნაში ბრალეული საწარმოს ხელმძღვანელობის, ან საჭიროებისამებრ მესამე პირ(ებ)ის წინააღმდეგ, 5 წლის განმავლობაში ამ ზომების დასრულების თარიღიდან, ან ბრალეული საწარმოს, ან ბრალეული მესამე პირის გამოვლენიდან (ათოვლება უფრო გვიანდელი თარიღიდან).

2004/35/EC დირექტივის მე-11 მუხლით ქვეყნებს ეკისრებათ ვალდებულება, გამოყონ/დანიშნონ „კომპეტენტური ორგანო“ (ერთი, ან რამდენიმე), რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დირექტივით ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. მათ შორის, ასეთ კომპეტენტურ ორგანოს უნდა ჰქონდეს გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის, ან ამ ზიანის პოტენციური საფრთხისთვის პასუხისმგებელი პირის გამოვლენასთან, ზიანის შეფასებასთან, მისი აღმოფხვრის ზომების განსაზღვრასთან, პრევენციული ზომების მიღებასთან და სხვ. დაკავშირებული უფლებები.

2004/35/EC დირექტივა ძალაში შევიდა 2004 წლის 30 აპრილს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეცათ 3-წლიანი ვადა დირექტივის მოთხოვნების თავის შიდა კანონმდებლობაში დასანერგად.

2004/35/EC დირექტივა სამჯერ იქნა სახეცვლილი: მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვის შესახებ 2006/21/EC დირექტივით, ნახშირორჟანგის გეოლოგიური გზით შენახვის და რამდენიმე დირექტივაში

ცვლილებების შეტანის შესახებ 2009/31/EC დირექტივით და ნავთობისა და გაზის ოფშორული ოპერაციების უსაფრთხოების და 2004/35/EC დირექტივაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2013/30/EU დირექტივით.

ცვლილებების ძალით, გაფართოვდა იმ საქმიანობების წრე, რომელზეც „მკაცრი პასუხისმგებლობის“ რეჟიმი ვრცელდება. კერძოდ, 2004/35/EC დირექტივის III დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალს დაემატა შემდეგი საქმიანობები: „მოპოვებითი მრეწველობის ნარჩენების მართვა“ და „2009/31/EC დირექტივით გათვალისწინებული შენახვის ადგილების ოპერირება“. ოფშორების უსაფრთხოების დირექტივით (რომელიც მიღებულ იქნა 2013 წლის ივნისში), 2004/35/EC დირექტივაში შეტანილი ცვლილებებით კი, ზიანის ცნების ფარგლები საზღვაო წყლებზეც გავრცელდა.

### **3. დირექტივით რეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა**

საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციისგან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან, საქართველოს კანონებისგან და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

2004/35/EC დირექტივა ორიენტირებულია გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებაზე და მისი შედეგების აღმოფხვრაზე და ეს დირექტივა საერთოდ არ არეგულირებს კერძო ქონებრივ და ეკონომიკურ ზიანს, ასევე პირადი ხასიათის ზიანის საკითხებს. საქართველოს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სპეციფიკა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის თემატიკასთან მიმართებაში, გარკვეულწილად განსხვავებულია. გარემოსთვის ზიანის მიყენების პრევენციასთან, ასევე გარემოს პირვანდელ, ან პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობაში აღდგენასთან დაკავშირებული გარკვეული რეგულაციების არსებობის მიუხედავად, საქართველოში დღეისათვის მოქმედ კანონმდებლობაში გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევებთან მიმართებაში ძირითადი აქცენტი, ხშირ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, ასევე გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხობრივ ანაზღაურებაზე კეთდება. გარემოსთვის მიყენებული ზიანი განიხილება ქონებრივ ზიანად და ზიანის ანაზღაურება, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული (კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დაანგარიშებული) თანხების გადარიცხვით გამოიხატება.

საქართველოში მოქმედებს მთელი რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან და ზოგადად 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებულ თემატიკასთან გარკვეულ შეხებაშია, თუმცა, მათი ნაწილი შეიცავს მხოლოდ ზოგად ჩანაწერებს გარემოსთვის ზიანის მიყენების დაუშვებლობის (*ex-ante* ღონისძიებები), ზიანის ანაზღაურების აუცილებლობის, ან ამასთან დაკავშირებული ზოგადი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და მხოლოდ რამდენიმე ნორმატიული აქტი ითვალისწინებს ზიანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის, ზიანის აღმოფხვრის ვალდებულების, ზიანის ოდენობის დაანგარიშების და ანაზღაურების შესახებ (*ex-post* ღონისძიებები) შედარებით დეტალურ დებულებებს.

#### **3.1 საქართველოს კონსტიტუცია**

გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა (ისევე, როგორც ზოგადად, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა) ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დადგენილია ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

გარემოს დაცვის სფეროში; მათ შორის, სახელმწიფოს ვალდებულება, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა, ქვეყნის მდგრადი განვითარება საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

### 3.2 საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. მსგავს დებულებას (მცირე განსხვავებით) ითვალისწინებს ასევე საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დადგენილია, რომ „ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ“. შესაბამისად, საქართველოს იმ საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ კრიტერიუმებს, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ.

საქართველოს გარემოსდაცვით საერთაშორისო ხელშეკრულებებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებამდე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის საფუძველზე საქართველოს უკვე აღებული ჰქონდა ვალდებულება გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UN ECE) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონვენციების რატიფიცირების შესახებ, რომელიც საქართველოს, სამწუხაროდ, დღემდე არ შეუსრულებია.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების გარკვეული ნაწილი პირდაპირი, ან არაპირდაპირი ფორმით, კავშირშია გარემოსთვის მიყენებული ზიანის თემატიკასთან (საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების არასრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში); თუმცა, აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2004/35/EC დირექტივა არ გამოიყენება გარემოსთვის მიყენებულ იმ ზიანთან, ან პოტენციურ საფრთხესთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა ისეთი ინციდენტის შედეგად, რომელთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა, ან კომპენსაციის ვალდებულება, გათვალისწინებულია რომელიმე საერთაშორისო კონვენციით, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის შესაბამის წევრ ქვეყანაში და რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია 2004/35/EC დირექტივის IV დანართში.

### 3.3 საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

ეს კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“. კონსტიტუციის აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობაც გარკვეულწილად ასახავს, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის აღიარებულ პრინციპებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (მე-5 მუხლში) იქნა ყველაზე თვალსაჩინოდ ასახული 1992 წელს, რიო დე ჟანეიროში, გარემოსა და განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციაზე გაცხადებული გარემოს დაცვის პრინციპების ძირითადი ნაწილი. მათ შორის, წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, პირველ რიგში, აღსანიშნავია პრინციპი "დამაბინძურებელი იხდის". პრინციპი განმარტებულია კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში და მის თანახმად, პრინციპი გულისხმობს „საქმიანობის სუბიექტის, ასევე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებას ანაზღაუროს გარემოსთვის მიყენებული ზარალი“. გარემოსთვის მიყენებული ზიანის კონტექსტში, ასევე გარკვეულწილად აქტუალურია ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „მდგრადობის პრინციპიც“ (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება უნდა მოხდეს ისე, რომ საშიშროება არ ექმნებოდეს საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილი იყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან) და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „რესტიტუციის პრინციპი“ (საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იყოს პირვანდელ (restitution in integrum) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით).

გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების თვალსაზრისით, მათ შორის, მნიშვნელოვანია ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული „რისკის შემცირების პრინციპი“ - რომლის მიხედვითაც, საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით“.

ამ კვლევის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის XVI თავიც, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფო კონტროლის საკითხებს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.

ამ თავის 57-ე მუხლის მიხედვით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ამ სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები - ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო<sup>6</sup>.

<sup>6</sup> იგივე განმტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

ასევე, საინტერესოა, მაგალითად, ისიც, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების დარღვევების, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეებზე, ასევე ამ დარღვევებთან დაკავშირებულ გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო წარმომადგენლობის განხორციელება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის კომპეტენციას განეკუთვნება.

რაც შეეხება ამ სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს:

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობა რეგულირდება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #26 ბრძანებით „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი სფეროა ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის, მათ შორის, საქართველოს ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ნარჩენების მართვისა და ქიმიური უსაფრთხოების, გარემოს დაცვის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების პირობების შესრულების კონტროლი.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებები გააჩნია, რომელთაგან 2004/35/EC დირექტივის კონტექსტში, პირველ რიგში, აღსანიშნავია უფლება - „კანონმდებლობით დადგენილი წესით შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიტანოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, განსაზღვროს (გამოიანგარიშოს) გარემოსათვის მიყენებული ზიანი, მოახდინოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართალდარღვევის შესახებ ოქმთან ერთად, ან შესაბამისი სარჩელის, სასამართლოში წარდგენა, ასევე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, საქმის მასალების შესაბამის ორგანოებში გადაგზავნა“.

ასევე აღნიშვნის ღირსია ამ დეპარტამენტის უფლება, რეგულირების ობიექტების ინსპექტირების პროცესში განახორციელოს ლაბორატორიული სინჯების აღება ან/და ამ მიზნით, მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეპარტამენტის კიდევ ერთი უფლება - დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია წარუდგინოს ადმინისტრაციული მიწერილობა რეგულირების ობიექტს, მითითებულ გონივრულ ვადაში დარღვევების აღმოფხვრის, ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების თაობაზე. აქ შეიძლება გარკვეული პარალელების გავლება დეპარტამენტის ამ უფლებას და 2004/35/EC დირექტივის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ, კომპეტენტური ორგანოს მიერ ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებით განსასაზღვრულ ზოგიერთ „ზომას“ შორის.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აღნიშნული უფლებების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი უფლებამოსილების გარკვეული კორექტირებისა და გაფართოების შემთხვევაში, ეს დეპარტამენტი ყველაზე შესაფერისი კანდიდატი იქნება საქართველოში მოქმედ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს შორის, რომელსაც შეუძლია იტვირთოს

2004/35/EC დირექტივის მე-11 მუხლით გათვალისწინებული „კომპეტენტური ორგანოს“ ფუნქციები (მთლიანად ან მათი ძირითადი ნაწილი მაინც).

„კომპეტენტური ორგანოსთვის“ დირექტივით განსაზღვრულ გარკვეულ კრიტერიუმებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ნაწილობრივ აკმაყოფილებს ასევე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სატყეო სააგენტო. სააგენტოს დებულება<sup>7</sup> განსაზღვრავს მის უფლებამოსილებებს; მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია: სააგენტოს უფლება, შეადგინოს ოქმი ტყის ფონდის ტერიტორიაზე ჩადენილი ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ და შემდგომი რეაგირების მიზნით, ასევე სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, გადააგზავნოს საქმის მასალები შესაბამის ორგანოებში; ასევე, უფლება - კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს მიერ გამოვლენილ სამართალდარღვევის საქმეებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) და სახელმწიფოსთვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმთან ერთად, ან შესაბამისი სარჩელის სასამართლოში წარდგენის შესახებ. 2004/35/EC დირექტივის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში, ასევე, აღსანიშნავია ამ სააგენტოს უფლება, კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს დაქვემდებარებული შესაბამისი ტყითმოსარგებლის მიერ ჩადენილი დარღვევის აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების, ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით, მოახდინოს ადმინისტრაციული მიწერილობის გამოცემა და შესაბამისი ტყითმოსარგებლისთვის წარდგენა, რომლითაც მას ეცნობება, მითითებულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას დარღვევები ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებებისაგან.

რაც შეეხება „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ კიდევ ერთ ადმინისტრაციულ ორგანოს - საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მას არ გააჩნია არანაირი უფლებამოსილება გარემოსთვის მიყენებული ზიანის შეფასებასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, თავისი დებულებით<sup>8</sup>, ენიჭება დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღკვეთასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენასთან და შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამისი ორგანოებისათვის გადაცემასთან დაკავშირებული გარკვეული უფლებები. გარდა ამისა, სააგენტოს ასევე აქვს გარკვეული უფლებები ცალკეული სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვის, მოვლის, გამრავლების და აღდგენის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფის სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სამი ადმინისტრაციული ორგანოდან, ეს სააგენტო ყველაზე ნაკლებად აკმაყოფილებს (ფაქტიურად ვერ აკმაყოფილებს) 2004/35/EC დირექტივის მე-10 მუხლით „კომპეტენტური ორგანოსთვის“ დადგენილ მოთხოვნებს.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის II<sup>1</sup> კარი გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების საკითხებს არეგულირებს. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, ამ კარის ძირითადი ნაწილი, 2013 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების გამო, ძალადაკარგულია და მოქმედია მხოლოდ ამ კარის XVI<sup>1</sup> თავის (პასუხისმგებლობა გარემოსთვის

<sup>7</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №25 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“.

<sup>8</sup> საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №3 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მიყენებული ზიანისთვის) ორი მუხლი (57<sup>1</sup> და 57<sup>2</sup>). ამ მუხლებით, ზოგადად, დადგენილია, რომ ამ სფეროში არსებული კანონმდებლობის დარღვევას მოსდევს პასუხისმგებლობა და განსაზღვრულია, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდარღვევის ჩამდენს არ ათავისუფლებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურების ვალდებულებისაგან. ასევე, განსაზღვრულია 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნისთვის და ამ ვადის ათვლის მომენტი. კანონის თანახმად, „გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ შეიტყო გარემოსთვის მიყენებული ზიანის და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე“. სხვა, უფრო დეტალური პროცედურები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, დღეის მდგომარეობით, ამ კანონით აღარაა გათვალისწინებული.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი გარკვეულ ჩარჩოებს ადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობისთვის და გარკვეულწილად, კრავს საქართველოს კანონმდებლობას ისეთი საერთო ფასეულობების დადგენით, როგორცაა, გარემოს დაცვის ძირითადი მიზნები, ამოცანები და პრინციპები, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი დებულებები. აღნიშნულის გამო, მას ხშირად ჩარჩო კანონსაც (framework law) კი უწოდებენ. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი ერთ-ერთი ყველაზე ძველი კანონია გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ კანონთა შორის (მიღებულია 1996 წელს), მას ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი აუთვისებელი პოტენციალი ამ სფეროში კანონმდებლობის კონსოლიდაციის და განვითარების (მათ შორის 2004/35/EC დირექტივის მოთხოვნების საქართველოს კანონმდებლობაში გატარების) თვალსაზრისით.

მაგალითად, კანონი ითვალისწინებს ბევრი მნიშვნელოვანი ცნებისა და ტერმინის განმარტებას და მას ამ მხრივაც გააჩნია განვითარების პოტენციალი. 2004/35/EC დირექტივა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დირექტივით გათვალისწინებული ცნებებისა და ტერმინების სწორ განმარტებას და გამოყენებას. მათ შორის, აქცენტი კეთდება ყველაზე მნიშვნელოვან „გარემოსთვის მიყენებული ზიანის“ დირექტივისეულ განმარტებაზე (რომლის იდენტურსაც, რეალურად, საქართველოს არცერთი კანონი არ ითვალისწინებს). დირექტივის მიხედვით, როდესაც რომელიმე ცნება/ტერმინი გამოიყენება მომიჯნავე ურთიერთობების მარეგულირებელ კანონმდებლობაში, ერთმანეთის მსგავსი ცნებები/ტერმინები გამოიყენებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს საერთო კრიტერიუმების მორგება და მათი ერთგვაროვანი გაგება.

თუ, 2004/35/EC დირექტივის მსგავსად, აუცილებელი გახდება საქართველოში მოქმედ გარემოსდაცვით სამართლის სისტემაში უნიფიცირებული ტერმინებისა და განმარტებების შემოტანა, მაშინ კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, ალბათ, ამისთვის შესაფერისი საკანონმდებლო აქტი იქნება.

იგივე შეიძლება ითქვას გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და აღმოფხვრის თემატიკის მარეგულირებელ ნორმებთან და პროცედურებთან დაკავშირებითაც. ასეთი ნორმები და დეტალური პროცედურები შეიძლება დაემატოს კანონს „გარემოს დაცვის შესახებ“ და ამგვარად, ეს კანონი გახდეს საბაზო კანონი 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული საკითხების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის და იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გარკვეულწილად აკნინებს ამ კანონის როლს. სამწუხაროდ, საქართველოს არსებული კანონმდებლობის სპეციფიკა ისეთია, რომ კანონებს შორის ხშირია კოლიზიები. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (2009 წ.) მიხედვით, უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს. იმის გამო, რომ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის

შესახებ“ ერთ-ერთი უძველესი საკანონმდებლო აქტია დღეისათვის მოქმედ საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობაში და მიუხედავად იმისა, რომ ის შეიცავს ბევრ მნიშვნელოვან დებულებას (მაგალითად, გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპების შესახებ მუხლი, ჯერ კიდევ პირვანდელი რედაქციით, დღემდე მოქმედებს), კოლიზიისას უფრო გვიანდელი ნორმების უპირატესობის გამო, გარკვეულწილად კნინდება მისი როლი და ხშირად ხდება მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი დებულების იგნორირება. შესაძლოა ამ კანონის ახალი, მოდიფიცირებული რედაქციის მიღებამ (რომელშიც კონსოლიდებულად აისახება საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ახალი ჩარჩოები და ძირითადი დებულებები, ასევე გათვალისწინებულ იქნება 2004/35/EC დირექტივის და შესაძლოა, დამატებით სხვა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი დირექტივების მოთხოვნები) დადებითად იმოქმედოს, ზოგადად, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და უშუალოდ, ამ კანონის ეფექტურობის ამაღლებაზე.

2004/35/EC დირექტივის კონტექსტში „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვისას, მიზანშეწონილი იქნება, მოკლედ შევხვით ამ კანონთან კავშირში მყოფ კიდევ ერთ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილებას, რომლითაც დამტკიცებულია „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“<sup>9</sup>.

ამ წესით, სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია რეგულირების ობიექტის ვალდებულებები, მათ შორის, ვალდებულება, „განახორციელოს მის მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანის აღდგენის (პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობაში დაბრუნების) ღონისძიებები, რაც შესაძლებელია მიღებული შედეგების შესაბამისად გათვალისწინებულ იქნეს მისი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას“. რეგულირების ობიექტად, ამ წესის მიხედვით, მიიჩნევა ფიზიკური და იურიდიული პირები, ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნები, მათ შორის, სარგებლობის ლიცენზიების, გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მფლობელები, ადმინისტრაციული ორგანოები და მათი საქმიანობა (ქმედება), რომლებზეც ვრცელდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

ეს ჩანაწერი, გარემოსათვის მიყენებული ზიანის აღდგენის (პირვანდელ, ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობაში დაბრუნების) ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებასთან დაკავშირებით, „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ „რესტიტუციის პრინციპთან“ სრულ შესაბამისობაშია და მნიშვნელოვანია 2004/35/EC დირექტივის კონტექსტშიც. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 2004/35/EC დირექტივის მე-2 მუხლის მე-15 პუნქტით, ტერმინი „აღდგენა“ დეტალურადაა განმარტებული, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს კანონმდებლობაზე - ამ ტერმინის ადეკვატურ განმარტებას, სამწუხაროდ, არც „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი, არც საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილება და არც საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები შეიცავენ.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილების სტატუსი დღეისათვის ორაზროვანია. ეს დადგენილება, ფორმალურად, არავის გაუუქმებია; ის მოქმედია, მაგრამ აღარ არსებობს სტრუქტურა (საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბუნებრივი რესურსების სააგენტო), რომლისთვისაც გამოიცა ეს დადგენილება (დადგენილება გამოიცა სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის

<sup>9</sup> აქტი მიღებულ იქნა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2011 წლის 5 მაისის კანონის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

წესის დადგენის მიზნით). 2013 წლის გაზაფხულზე გატარებული ინსტიტუციური რეფორმების შედეგად, ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ფუნქციები, მათი უფლებამოსილებების ფარგლებში, რამდენიმე ადმინისტრაციულ ორგანოზე გადანაწილდა;<sup>10</sup> ესენია:

- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;
- ენერგეტიკის სამინისტროს სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - სატყეო სააგენტო;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტო.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ჩაითვალა გარემოს დაცვის სამინისტროს და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფლებამონაცვლედ იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაწილში, რომელიც უკავშირდება მათ მიერ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას.

მოსალოდნელია, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილება ახლო მომავალში შეიცვლება, ან ჩანაცვლდება ახალი ნორმატიული აქტით. სავარაუდოდ, გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღდგენის (პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობაში დაბრუნების) ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებასთან დაკავშირებული დებულება კვლავ აისახება ამ ახალ ნორმატიულ აქტში.

### 3.4 საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“

კანონი მიღებულ იქნა 1999 წელს; მისი მიზანია, პასუხისმგებელი პირის ბრალის არსებობის მიუხედავად, გარემოზე საშიში ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტების, ქონებისა და ეკონომიკური ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის უზრუნველყოფა.

ამ კანონით გათვალისწინებული „ბრალის არსებობის მიუხედავად“ პასუხისმგებლობის საკითხი გარკვეულწილად ესატყვისება 2004/35/EC დირექტივის 3(1)(ა) მუხლით და III დანართით გათვალისწინებულ ე.წ. „მკაცრი პასუხისმგებლობის“ რეჟიმს, თუმცა, ამ კანონსა და დირექტივის თემატიკას შორის გარკვეული პარალელების არსებობის მიუხედავად, ბევრია განსხვავებაც. თუნდაც ის, რომ ეს კანონი საშიში ნივთიერებებით პირისთვის ან ტერიტორიისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხებს ეხება, უკვე ცხადყოფს, რომ მისი მოქმედების სფერო და 2004/35/EC დირექტივის მოქმედების სფერო, არაა ბოლომდე იდენტური.

2004/35/EC დირექტივისგან განსხვავებით, ეს კანონი არ იძლევა არც „გარემოსთვის მიყენებული ზიანის“ და არც „ზიანის“ (ისევე, როგორც დირექტივის მე-2 მუხლით განსაზღვრული სხვა მნიშველოვანი ტერმინების)

<sup>10</sup> იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის #93 დადგენილება „საქართველოს გარემოს დაცვის, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, უფლებამონაცვლობის განსაზღვრისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შექმნის შესახებ“.

განმარტებას; თუმცა, მისი მე-4 მუხლი გარკვეულწილად იძლევა იმის იდენტიფიცირების საშუალებას, თუ რა სახის ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას ამ კანონის მიხედვით. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლში ნათქვამია, რომ:

„1. პასუხისმგებელი პირი, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ვალდებულია გადაიხადოს იმ ზიანის კომპენსაცია, რომელიც მიაყენა სხვა პირს ან ტერიტორიას:

- (ა) საშიში ნივთიერებით დაბინძურების შედეგად ამ ნივთიერების წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების დროს ან სხვა შემთხვევაში;
- (ბ) წინასწარ განზრახვით, გაუფრთხილებლობით ან მესამე მხარის ქმედებით გამოწვეული დაბინძურების შედეგად.

2. პასუხისმგებელი პირი აგრეთვე ვალდებულია გადაიხადოს:

- (ა) კომპენსაცია პირის ტრავმის ან გარდაცვალების შემთხვევაში;
- (ბ) პირველადი რეაგირებისთვის საჭირო თანხის კომპენსაცია, მათ შორის, სახელმწიფოს, სახელმწიფო საწარმოს ან ნებისმიერი პირის მიერ საშიში ნივთიერებების გავრცელების შეზღუდვის, დაბინძურების აღკვეთის, დაბინძურებული გარემოს აღდგენისა და განახლების მიზნით განხორციელებული საქმიანობისთვის საჭირო თანხის კომპენსაცია;
- (გ) მესაკუთრის, დამქირავებლის ან მომხმარებლის შემოსავლისთვის მიყენებული ეკონომიკური ზიანის კომპენსაცია, მათ შორის, წყლის რესურსების, ნიადაგის, შენობა-ნაგებობებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია;
- (დ) ბუნებრივი და კულტურული გარემოს საშიში ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია.“

ზიანის კომპენსაცია, ასეთ შემთხვევაში, ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ ასანაზღაურებელი ზიანის აღნიშნული ჩამონათვალი არაა 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული „ზიანის“ იდენტური, არამარტო ფორმალური განმარტების, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც; თუმცა, შეიძლება გარკვეული პარალელების გავლება; მაგალითად, 2004/35/EC დირექტივის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ზიანის თავიდან აცილებისა და გამოსწორების ხარჯებს და ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ კომპენსაციის ვალდებულებას შორის. კანონის მე-5 მუხლი პასუხისმგებელი პირების მიერ ზიანის ერთობლივი კომპენსაციის საკითხს არეგულირებს. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ 2004/35/EC დირექტივის მე-9 მუხლის თანახმად, დირექტივა არ ეწინააღმდეგება რამოდენიმე მხარის მიზეზით გამოწვეული ზიანისას ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს.

კანონის მე-6 მუხლი ზიანის კომპენსაციის ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხს ეხება. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე მუხლით დადგენილი გათავისუფლების საფუძვლები მხოლოდ ნაწილობრივია თანხვედრაში 2004/35/EC დირექტივის მე-4 მუხლით დადგენილ შეზღუდვებთან (მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, ასევე გარდაუვალი/დაუძლეველი ძალის ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანის ნაწილში). სხვა მხრივ კი, მნიშვნელოვანი განსხვავებებია.

კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად სავარაუდო დაბინძურების რისკის სავალდებულო დაზღვევის მექანიზმს. ფინანსური უზრუნველყოფის

მსგავსი მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა დაშვებულია 2004/35/EC დირექტივითაც. სამწუხაროდ, კანონის ეს მუხლი ვერ უზრუნველყოფს სავარაუდო დაბინძურების რისკის სავალდებულო დაზღვევის მექანიზმის სათანადოდ ამუშავებას და დღეის მდგომარეობით, კანონის ეს მოთხოვნა არ, ან ვერ სრულდება. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიცაა, რომ საქართველოში მოქმედ კომპანიებს არ აქვთ სურვილი დააზღვიონ გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული რისკები და არ არსებობს ისეთი რეგულაციები, რომლებიც მათ ამას დაავალდებულებდა. შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანი, როგორც წესი, აუნაზღაურებელი რჩება, როდესაც ზიანის მიმყენებელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამ საკითხის ფორსირებას კი, შედეგად, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა მოჰყვეს საწარმოს გადახდისუუნარობა, ან გაკოტრება, თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნეგატიური შედეგებით.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები იმ ნორმატიული აქტების ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელი იყო კანონის სრულფასოვანი მოქმედების უზრუნველსაყოფად. დღეის მდგომარეობით კანონის მე-9 მუხლში მითითებული არცერთი კანონქვემდებარე აქტი არაა ძალაში. მათი ჩანაცვლება მოხდა ჯერ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 5 ივლისის #538 ბრძანებით „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის დამტკიცების შესახებ“, შემდეგ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 2 თებერვლის #2 ბრძანებით „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის დამტკიცების შესახებ“ და ბოლოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილებით - ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ, რომელიც დღეისათვის ერთადერთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომელიც გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკას ადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის # 54 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი საკმაოდ ვრცელი და ფართო მოქმედების დოკუმენტია, რომელიც არ შემოიფარგლება საშიში ნივთიერებებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის თემატიკით და მიღებულია არა „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის, არამედ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საფუძველზე (2012 წ.).

### **3.5 პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი**

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის ერთ-ერთი გაცხადებული მიზანი გარემოს დაცვაა, მასში ძირითადი აქცენტები პროდუქტის უსაფრთხოებაზე და ტექნიკური საფრთხის კონტროლზეა გაკეთებული. ამ აქტში მოცემულია ზიანის განმარტება, თუმცა არა, ზოგადად, გარემოს, არამედ მხოლოდ პროდუქტის უსაფრთხოების კონტექსტში. ასევე, გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვადები პროდუქტით მიყენებულ ზიანთან მიმართებაში.

კანონის IV თავი ტექნიკური საფრთხის კონტროლის საკითხებს არეგულირებს. კერძოდ, ამ თავის დებულებები ეხება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს (და მათთან დაკავშირებულ პროცესებს), რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არსებობს მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის. სხვა საკითხებს შორის, ეს თავი არეგულირებს, ასევე, სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სფეროს.

ამ თავით, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში მოიაზრება – ტექნიკური ნაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნებისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, შეზღუდულად ბრუნვადი ნივთიერება, ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტი და პროცესი, რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის, ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში, შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს.

კოდექსის ეს თავი ითვალისწინებს კონკრეტულ საჯარო სანქციებს ამ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის, ასევე ზიანის და ხარჯების ანაზღაურებას, თუმცა, უშუალო აქცენტები არაა გაკეთებული გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მშენებლობა (ასევე, უნებართვო მშენებლობა, სანებართვო პირობების დარღვევით მშენებლობა და ა.შ.) ხშირად კავშირშია გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან, ხოლო ზოგიერთი ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული მშენებლობის ნებართვებისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მისი პირობები სანებართვო პირობებია. („გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი), ამ თავის დებულებები, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარემოსთვის მიყენებულ ზიანთან მიმართებაში.

კოდექსში არის დებულებები, რომლებიც გარემოსდაცვით საკითხებს ეხება (მაგალითად, პროდუქციის უსაფრთხოება გარემოსთვის, ტექნიკური საფრთხის კონტროლი გარემოს უსაფრთხოების და ზიანის აცილების თვალსაზრისით). მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ეს აქტი მაინც არ ითვალისწინებს არსებითი ხასიათის დებულებებს უშუალოდ გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, იმ ტექნიკური რეგლამენტისგან განსხვავებით, რომელიც სწორედ ამ კოდექსის საფუძველზე იქნა მიღებული და რომელიც გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის მეთოდიკას ეხება (იხ. მომდევნო ქვეთავი).

### **3.6 ტექნიკური რეგლამენტი - გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია**

ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია“<sup>11</sup> (შემდგომში - რეგლამენტი) დანიშნულებაა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესის დადგენა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას ან/და სამეურნეო საქმიანობის პროცესში გარემოსათვის მიყენებულ ზიანს და იმ შემოსავალს, რომელიც არ მიუღია სახელმწიფოს და რომელსაც იგი მიიღებდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების ჯეროვანი შესრულებისას.

გარემოს დაცვის სფეროს დარგობრივი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რეგლამენტი დაყოფილია მუხლებად, რომლებიც ითვალისწინებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის წესებს გარემოს ცალკეულ ელემენტებთან მიმართებაში; ესენია:

---

<sup>11</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ“

1. ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
2. მიწების დაბინძურების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
3. მიწების დეგრადაციის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
4. ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
5. საქართველოს დედაქალაქში, სხვა ქალაქებში, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებსა და დაბებში არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებით, მოჭრით ან განადგურებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
6. თევზის მარაგსა და სხვა ჰიდრობიონტებზე მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
7. ცხოველთა სამყაროს ობიექტების უკანონოდ მოპოვებით გარემოზე მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
8. წიაღით სარგებლობისას გარემოზე მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
9. წყლის რესურსების დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
10. შავი ზღვის წყლების დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
11. ხმაურის მავნე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;
12. ელექტრომაგნიტური და ელექტროსტატიკური ველების ზღვრულად დასაშვები დონეების გადაჭარბებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესი;

რეგლამენტს გააჩნია 25 დანართი, რომლებიც მოიცავენ რეგლამენტის სრულფასოვანი გამოყენებისათვის აუცილებელ სხვადასხვა სახის ინფორმაციას.

რეგლამენტში მოცემულია ფორმულები და მონაცემები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია გარემოსათვის ფაქტიურად მიყენებული ზიანის თანხობრივი დაანგარიშება; ზიანის დათვლის რეგლამენტით დადგენილი მეთოდოლოგია გარკვეულწილად ითვალისწინებს შესაბამისი რესურსის აღდგენით პერიოდს, აღდგენითი ღირებულებისა და აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების დაანგარიშების შესახებ დებულებებს, ასევე, პირვანდელ მდგომარეობაში გარემოს აღუდგენლობის ზოგიერთი შემთხვევისთვის, ზიანის დაანგარიშების წესს (მაგალითად, თუ სამეურნეო საქმიანობის შედეგად ნიადაგი დეგრადირდა, რამაც ეროზიული პროცესების განვითარება გამოიწვია; ან თუ ტყეკაფის ათვისებისთანავე შესაბამისი ტერიტორია არ იქნა აღდგენილი პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობაში). გარკვეული პარალელების მიუხედავად, ამ წესით დაანგარიშებული ზიანი, მაინც განსხვავდება 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ხარჯების დათვლის სპეციფიკისგან.

რაც შეეხება რეგლამენტის სტატუსს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილება, რომლითაც ტექნიკური რეგლამენტია დამტკიცებული, საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია. რეგლამენტის ტექსტში ნახსენებია, რომ ის შემუშავებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. ყურადსაღებია, რომ კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ და მხოლოდ რეგლამენტის მიღებაზე უფლებამოსილ პირს განსაზღვრავს; პირველი პუნქტით კი, დადგენილია,

რომ ტექნიკური რეგლამენტი მიიღება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში, რომელიც ტექნიკური რეგლამენტის მიზანს და მოქმედების სფეროს უნდა ადგენდეს. კოდექსში არსად, მათ შორის, არც 58-ე მუხლის მე-2 პუნქტში და არც 103-ე მუხლში, არაა პირდაპირ დადგენილი გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის მეთოდუკასთან დაკავშირებული რაიმე ტექნიკური რეგლამენტის მიღების შესახებ მოთხოვნა. უფრო მეტიც, ეს ტექნიკური რეგლამენტი თემატურად უფრო ახლოა, მაგალითად, ზემოთ განხილულ „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ვიდრე ამ კოდექსთან.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილებაში, ამ დადგენილების მიღების საფუძვლად, ასევე, მითითებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი, თუმცა არაა დაზუსტებული კონკრეტული პუნქტი; ეს მეტად უცნაურია, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე მთავრობის დადგენილებების მიღებას ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობები და შედეგები აქვს.

### **3.7 საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მის მიმდინარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“**

ამ კანონით დადგენილია ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანების, განადგურებისა და ამოძირკვის, აგრეთვე მათი განზრახ დაზიანებისა და განადგურების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი და ოდენობა.

### **3.8 საქართველოს ტყის კოდექსი**

ეს კანონი, ძირითადად შეიცავს ზოგად დებულებებს გარემოსთვის ზიანის მიყენების დაუშვებლობასთან და მისი ანაზღაურების აუცილებლობასთან დაკავშირებით; ამ კვლევის მიზნებისთვის, ყურადსაღებია კოდექსის 113-ე მუხლი, რომლის თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან „სრულად ანაზღაურონ ტყის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად სახელმწიფო ტყის ფონდისათვის მიყენებული ზიანი“; ამასთან, კოდექსი აქვე ადგენს ამ ვალდებულების გარკვეულ ალტერნატივას - „ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, აღადგინონ დაზიანებამდე არსებული მდგომარეობა“.

### **3.9 საქართველოს საზღვაო კოდექსი**

საქართველოს საზღვაო კოდექსის XVIII თავი გემებით გარემოს დაზიანებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებს არეგულირებს. კოდექსის ამ თავით დადგენილია, რომ გემის მესაკუთრე, ან კანონით განსაზღვრული პირი პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია გემიდან ნავთობის გაჟონვით, ან გადასხმით, ან ზღვაში გემიდან იმ ნივთიერებათა ჩაყრით, რომელიც მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისა და ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის. კანონი აქვე იძლევა გემებით გარემოს დაზიანებების შედეგად მიყენებული ზიანის საკმაოდ დეტალურ განმარტებას, თუმცა, კანონის სპეციფიკის გათვალისწინებით, ის ბუნებრივია არაა 2004/35/EC დირექტივით მოცემული „ზიანის“ განმარტების ანალოგიური.

ამ თავით საკმაოდ დეტალურადაა დარეგულირებული გემებით გარემოს დაზიანებების შედეგად

მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხები, მათ შორის, დადგენილია ზღვის დაბინძურებით გამოწვეული ზიანისათვის ფინანსური პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვარი.

### **3.10 საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ და საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“**

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი მიზანია, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადობა და მათი მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა.

დღეის მდგომარეობით საქართველოში „წითელი ნუსხით“ დაცული გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს „წითელ ნუსხაში“. „წითელი ნუსხის“ განახლება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ხდება. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, „წითელი ნუსხის“ დამტკიცება ახლა უკვე საქართველოს მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება; ამდენად, საქართველოს წითელი ნუსხის განახლება მომავალში საქართველოს მთავრობის დადგენილებით მოხდება.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებში „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მოიაზრება გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ბიოლოგიური სახეობები ან/და მათი სხვა ტაქსონომიური ერთეულები, რომელთა რაოდენობისა და გავრცელების არეალის შემცირება, საარსებო პირობების გაუარესება, ან სხვა გარემოებები მიუთითებს მათი დაცვისა და კვლავწარმოებისათვის სასწრაფო ზომების მიღების აუცილებლობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა ხორციელდება ამ კანონის საფუძველზე და ამ მიზნით შეიტანება ეს სახეობები წითელ ნუსხაში, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ეს სახეობები, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, მიიჩნევა „დაცულ სახეობებად“.

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს საბინადრო გარემოს (ჰაბიტატს), თუმცა, ამ კანონით, დაცული სახეობების საბინადრო გარემოც მიიჩნევა დაცვის ობიექტად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე აღებული „ცხოველთა სამყაროს (გარეულ ცხოველთა) საბინადრო გარემოს (ჰაბიტატის)“ განმარტება მოცემულია „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში და ის განმარტებულია, როგორც „ადგილი ან ადგილმდებარეობის ტიპი, სადაც ბუნებრივი თავისუფლების პირობებში იმყოფებიან გარეულ ცხოველთა ცალკეული ინდივიდები ან პოპულაციები“.

მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება ითქვას, რომ 2004/35/EC დირექტივაში გამოყენებული ტერმინი „დაცული სახეობები და ბუნებრივი საბინადრო გარემო (ჰაბიტატი)“ საქართველოს კანონმდებლობაში სრულფასოვნად არსადაა განმარტებული. შინაარსობრივად, „წითელ ნუსხაში“ მოცემული სახეობების ჩამონათვალი და „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული „ცხოველთა სამყაროს (გარეულ ცხოველთა) საბინადრო გარემოს (ჰაბიტატის)“ განმარტება, ერთად აღებულიც კი, ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს 2004/35/EC დირექტივაში მოცემული „დაცული სახეობების და ბუნებრივი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატი)“ შინაარსობრივ დატვირთვას. ასევე, საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებულ „შენარჩუნების სტატუსს“.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კანონი შეიცავს დებულებებს მათი დარღვევისთვის პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე, ზოგად ჩანაწერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით ზიანის/ზარალის ანაზღაურების შესახებ.

### 3.11 საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“

ეს კანონი საქართველოში წყალთან დაკავშირებული სამართალ-ურთიერთობების მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი კანონია. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებულის ცალსახად იდენტურ „წყლების“ განმარტებას (რომელიც გულისხმობს ყველა სახის წყლებს, რომლებიც რეგულირდება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2000/60/EC წყლის ჩარჩო დირექტივით); თუმცა, განმარტავს, მაგალითად, „წყლის სახელმწიფო ფონდს“, რომელიც კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მოიცავს საქართველოს როგორც ზედაპირულ წყლებს, ისე მიწისქვეშა წყლებს. კერძოდ, ამ კანონის მიხედვით საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს განეკუთვნება:

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები;
- მიწისქვეშა წყლები (მათ შორის წყაროები და კონტინენტური შელფის წყლები);
- მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი;
- ჭაობები;
- საქართველოს ტერიტორიული წყლები;
- განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები.

აღნიშნული დაყოფა წყლის სახეობად გარკვეულწილად განსხვავდება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2000/60/EC წყლის ჩარჩო დირექტივით (და შესაბამისად, 2004/35/EC დირექტივით) გათვალისწინებულისგან (სხვაობა, ძირითადად, ეხება წყლების სხვადასხვა სახეობად დაყოფას, ანუ სისტემატიზაციას).

### 3.12 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

ეს კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

ადმინისტრაციული წარმოება, ისევე როგორც ადმინისტრაციული საჩივრის წარმოება ადმინისტრაციულ ორგანოებში, ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი წესებით. აღსანიშნავია, რომ კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების, ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ეს კოდექსი ასევე ითვალისწინებს ადმინისტრაციული აქტების და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრების საფუძვლებს (სასამართლოში საქმის წარმოებისთვის ასევე გამოიყენება ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები), ხოლო კოდექსის III თავი ეძღვნება საჯარო ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ რეგულირებას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ეს კოდექსი, მასში გარვეული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი 2004/35/EC დირექტივის როგორც მე-12, ისე მე-13 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების თვალსაზრისით (დირექტივის ეს მუხლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზარალებულთათვის და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ისეთი მექანიზმების შექმნის აუცილებლობას ითვალისწინებს, რომლებიც, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მათ საშუალებას მისცემს, მოითხოვონ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოსგან ქმედების განხორციელება).

### **3.13 ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და დანაშაულის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროცედურების მარეგულირებელი საქართველოს კანონები**

#### ***საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი***

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება, ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს. მათ შორის, ამ კოდექსის VII თავი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ჯარიმის სახით) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში.

ამ კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ, მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას, ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

იმის გათვალისწინებით, რომ გარემოს ობიექტებისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიყენებული ზიანი დღეისათვის საქართველოში განიხილება, როგორც სახელმწიფოსთვის მიყენებული ქონებრივი ზიანი, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე ხდება, ხშირ შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის, როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოსთვის. გარკვეულწილად, საინტერესოა ამ კოდექსის 40<sup>1</sup> მუხლიც, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესი.

#### ***საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი***

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულის გარდა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის (თუ ეს საკითხი მანამდე არ იქნა განხილული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე), ისევე როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების შედეგად გარემოს სხვადასხვა ობიექტებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XXXIV<sup>3</sup> ითვალისწინებს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესს და ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება განხილულ იქნეს სარჩელი სისხლის სამართლის დანაშაულის, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს აუცილებლად უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი.

თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

#### 4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის 2004/35/EC დირექტივასთან შესაბამისობის შედარება

#	2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულება	საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტები	შესაბამისობის სტატუსი	კომენტარი
1	<p>ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანოს იდენტიფიცირება (მე-11 მუხლი)</p>	<p>1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;</p> <p>2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #26 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“.</p> <p>3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #25 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“</p> <p>4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #3 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“</p> <p>5. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.</p>	<p>ნაწილობრივ შესაბამეა</p>	<p>მითითებულ ნორმატიულ აქტებში გამოკვეთილია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი რამდენიმე ადმინისტრაციული ორგანო, რომლებსაც მათი უფლებამოსილებების შესაბამისი კორექტირების შემთხვევაში, შეუძლიათ იტვირთონ 2004/35/EC დირექტივის მე-11 მუხლით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოს ფუნქციები. სასურველია, აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოების ძირითადი უფლებამოსილებები ამ კუთხით განისაზღვროს უშუალოდ საკანონმდებლო აქტებში და არა მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებში.</p> <p>მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებულ საკითხებს და ეს არაა საკმარისი 2004/35/EC დირექტივის მოთხოვნების სრულფასოვანი განხორციელებისთვის. ამასთან, აღნიშნული თემატიკის მარეგულირებელი ნორმები გაფანტულია ათეულობით ნორმატიულ აქტში, რაც ართულებს და ძნელად გასაგებსა და გამოყენებადს ხდის სისტემას.</p> <p>აღნიშნული ცალსახად ადასტურებს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის (ასევე, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების პაკეტის) მიღება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის 2004/35/EC დირექტივასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.</p>

#	2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულება	საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტები	შესაბამისობის სტატუსი	კომენტარი
		6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის #98 დადგენილება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.		
2	პრევენციული ზომები (მუხლი 5)	1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;  2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი	ნაწილობრივ შესაბამეა	არსებობს მხოლოდ ძალზე ზოგადი ჩანაწერები კანონებში, რაც ვერ აკმაყოფილებს 2004/35/EC დირექტივის მოთხოვნებს. საჭიროა ამ თემის დეტალური დარეგულირება, როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტების დონეზე.
3	აღმოფხვრის ზომები (მუხლი 6) და ზიანის აღმოფხვრის ზომების განსაზღვრა (მუხლი 7)	1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;  2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #26 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;  3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #25 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;  4. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების“	ნაწილობრივ შესაბამეა	საკანონმდებლო დონეზე ეს საკითხი თითქმის არაა დარეგულირებული, თუ არ გავითვალისწინებთ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ გარემოს დაცვის ძირითად პრინციპებს („დამბინძურებელი იხდის პრინციპი“ და „რესტიტუციის პრინციპი“).  ამ მხრივ, გარკვეულ რეგულირების მექანიზმებს ითვალისწინებს კანონქვემდებარე აქტები (მთავრობის დადგენილებები), რომლებითაც სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანო(ებ)ს აქვთ მინიჭებული გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული გარკვეული ზომების განსაზღვრის და მითითებების მიცემის უფლება, ხოლო რეგულირების ობიექტებს (საქმიანობის განმახორციელებლებს) აკისრიათ გარკვეული ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ადეკვატურად არ ასახავს 2004/35/EC დირექტივის მოთხოვნებს და საჭიროა ეს საკითხი უფრო დეტალურად დარეგულირდეს (მათ შორის, პირველ რიგში საკანონმდებლო დონეზე).

#	2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულება	საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტები	შესაბამისობის სტატუსი	კომენტარი
		სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.		
4	დანართი II – გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა	<p>1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;</p> <p>2. საქართველოს ტყის კოდექსი;</p> <p>3. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.</p>	ნაწილობრივ შეესაბამება	საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი შეიცავს, ძირითადად, ზოგადი ხასიათის ჩანაწერებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღდგენის (პირვანდელ ან მასთან მიახლოებულ მდგომარეობაში დაბრუნების) შესახებ, რაც ძალზე მცირედ შეესატყვისება 2004/35/EC დირექტივის II დანართით გათვალისწინებულ გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის თემატიკას.
5	მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება სახიფათო საქმიანობებზე (მუხლი 3(1)(ა) და III დანართი)	საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“	ნაწილობრივ შეესაბამება	„საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „ბრალის არსებობის მიუხედავად“ პასუხისმგებლობა გარკვეულწილად შეესატყვისება 2004/35/EC დირექტივის 3(1)(ა) მუხლით და III დანართით გათვალისწინებულ ე.წ. „მკაცრი პასუხისმგებლობის“ რეჟიმს, თუმცა, ამ კუთხით, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა უფრო დეტალურ დებულებებს არ მოიცავს. არ არსებობს არც III დანართით გათვალისწინებულის იდენტური საქმიანობების ჩამონათვალი.
6	თავიდან აცილების და აღმოფხვრის ხარჯები (მე-8 მუხლი)	<p>1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;</p> <p>2. საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“;</p>	ნაწილობრივ შეესაბამება	„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპის დონეზე, დეკლარირებულია „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპი; ასევე, საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ ითვალისწინებს, მაგალითად, პირველადი რეაგირებისთვის საჭირო თანხის კომპენსაციას, მათ შორის, სახელმწიფოს, სახელმწიფო საწარმოს ან ნებისმიერი პირის მიერ საშიში ნივთიერებების

#	2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულება	საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტები	შესაბამისობის სტატუსი	კომენტარი
		3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“ დამტკიცების შესახებ“.		<p>გავრცელების შეზღუდვის, დაბინძურების აღკვეთის, დაბინძურებული გარემოს აღდგენისა და განახლების მიზნით განხორციელებული საქმიანობისთვის საჭირო თანხის კომპენსაციას. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, რიგ შემთხვევაში, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დათვლისას, აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებაც უნდა ხდებოდეს.</p> <p>მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება ითქვას, რომ 2004/35/EC დირექტივის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ასანაზღაურებელი ხარჯების ადეკვატური ჩამონათვალი საქართველოს კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული.</p>
7	ხარჯების განაწილება (მე-9 მუხლი)	<p>1. საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“;</p> <p>2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.</p>	შესაბამისობის სტატუსი ვერ დგინდება	<p>საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ ითვალისწინებს პასუხისმგებელი პირების მიერ ზიანის ერთობლივი კომპენსაციის საკითხს, რაც ნაწილობრივ შეესაბამება 2004/35/EC დირექტივის მე-9 მუხლის მოთხოვნებს. გარდა ამისა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, პროდუქტით მიყენებულ ზიანთან მიმართებაში, ითვალისწინებს, რომ თუ ერთი და იმავე ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებელია ორი ან მეტი პირი, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის წილობრივად განაწილებით.</p> <p>საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, ამ კუთხით, არ შეიცავს სხვა დეტალურ რეგულაციებს.</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზიანისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხებს საქართველოში ასევე, გარკვეულწილად, არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა უშვებს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წესების გამოყენების შესაძლებლობას გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებაში.</p>

#	2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულება	საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტები	შესაბამისობის სტატუსი	კომენტარი
				<p>მიუხედავად აღნიშნულისა, ამ შემთხვევაში, შესაბამისობის მდგომარეობის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან თავად 2004/35/EC დირექტივა ამ საკითხის დარეგულირებაზე მსჯელობისას, პრიორიტეტს ანიჭებს ეროვნულ კანონმდებლობას.</p>
8	<p>ხარჯების ანაზღაურების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები (მე-10 მუხლი)</p>	<p>1. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;</p> <p>2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.</p>	<p>ნაწილობრივ შესაბამეა</p>	<p>საქართველოს კანონით „გარემოს დაცვის შესახებ“ განსაზღვრულია 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნისთვის და დადგენილია, რომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელმა ორგანომ შეიტყო გარემოსთვის მიყენებული ზიანის და გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე.</p> <p>პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ვადაა 3 წელი. ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა გაიგო ან უნდა გაეგო, რომ მიადგა ზიანი და ამასთანავე, მან მოახდინა ზიანის, წუნისა და მწარმოებლის იდენტიფიცირება. ასევე, დადგენილია, რომ დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის გამომწვევი პროდუქტის ნებისმიერ ბაზარზე განთავსების მომენტიდან 10 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზარალებულმა ამ პერიოდში მწარმოებლის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.</p> <p>2004/35/EC დირექტივით დადგენილი 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა მიბმულია ორი გარემოების დადგომაზე და უფრო გვიანდელიდან აითვლება. ამ ვადასა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ 3-წლიან და 10-წლიან ვადებს შორის იდენტურობის დადგენა ზოგად კონტექსტში შეუძლებელია, რადგან ეს ვადები სხვადასხვა ფაქტორების დადგომის მომენტიდან აითვლება და მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში შეიძლება მათი შედარება.</p> <p>ნებისმიერ შემთხვევაში, 2004/35/EC დირექტივა ხანდაზმულობის</p>

#	2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულება	საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტები	შესაბამისობის სტატუსი	კომენტარი
				<p>ვადებს ადგენს ამავე დირექტივის მე-8 მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული ხარჯების ანაზღაურებისთვის, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა კი, ზოგადად, გარემოსთვის, ან პროდუქტის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, რაც ხშირ შემთხვევაში არაა იდენტური (თუმცა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფარგლებში ზოგჯერ საქართველოს კანონმდებლობით 2004/35/EC დირექტივის მე-8 მუხლით განსაზღვრულის იდენტური ზოგიერთი ხარჯიც შეიძლება მოიაზრებოდეს).</p>
9	<p>დაზარალებულთათვის და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელიც, გარემოსთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს მათ, მოითხოვონ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოსგან ქმედების განხორციელება, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩათვლით (მე-12 და მე-13 მუხლები).</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;</li> <li>2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;</li> <li>3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.</li> </ol>	<p>ნაწილობრივ შეესაბამება</p>	<p>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა, მათ შორის, დასაშვებია ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედების და უმოქმედობის გასასაჩივრებლად.</p> <p>მითითებული საპროცესო კოდექსები არეგულირებენ სასამართლოში ადმინისტრაციული და სამოქალაქო დავების წარმოების საკითხებს.</p> <p>მიუხედავად აღნიშნულისა, შეიძლება ითქვას, რომ 2004/35/EC დირექტივის მე-12 და მე-13 მუხლების სპეციფიკა საქართველოს კანონმდებლობით არაა სრულფასოვნად გათვალისწინებული და ამ მუხლებში მითითებული უფლებების რეალიზება შესაძლოა, ხშირ შემთხვევაში, გართულდეს, ან შეუძლებელიც კი გახდეს, არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში.</p>

## 5. დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში დღეისათვის მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ნაწილობრივ ითვალისწინებს 2004/35/EC დირექტივით გათვალისწინებულ საკითხებს, თუმცა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თემატიკის მარეგულირებელი ნორმები გაფანტულია ათეულობით ნორმატიულ აქტში, რაც ართულებს და ძნელად გასაგებს ხდის მოქმედ სამართლებრივ სისტემას. გარდა ამისა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მხოლოდ კომპლექსური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით თუ შეძლებს სრულფასოვნად გაითვალისწინოს 2004/35/EC დირექტივის მოთხოვნები.

საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში სასურველია მოხდეს ერთი საბაზო კანონის მიღება, ან რომელიმე მოქმედი კანონისთვის აღნიშნული ფუნქციის დაკისრება, რათა მან სრულად ასახოს დირექტივის ძირითადი საკითხები. აღნიშნული ფუნქცია შეიძლება დაეკისროს მაგალითად საქართველოს კანონს „გარემოს დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონს „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, ან რომელიმე ახალ კანონს. ასევე, სავალდებულოდ დასახვეწი იქნება მთელი რიგი ნორმატიული აქტები (მათ შორის, არამართ უშუალოდ გარემოს დაცვის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები), რაც გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის და თანმდევი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებისა და მიღების აუცილებლობას.

აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება ის ფაქტიც, რომ დირექტივის მოთხოვნების კანონმდებლობაში სრულად ასახვის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეიცვლება საქართველოში დღეისათვის მოქმედი გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სისტემა, შეიქმნება (ან გაძლიერდება) ახალი ადმინისტრაციული ორგანოები და გაიზრდება ჩართულ მხარეთა რიცხვი და აქტივობა. შესაბამისად, გარდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისა, აუცილებელი იქნება მრავალმხრივი ზომების მიღება ჩართულ მხარეთა ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებისთვის, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოთა თანამშრომლებისთვის და მოსამართლეთა კონტინგენტისთვის ახალი კანონმდებლობის გამოყენების სპეციფიკის უკეთ გასაცნობად (საჭიროებისამებრ, ამ კუთხით მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად).

## გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო;
- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, 2009 წლის 22 ოქტომბერი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბერი;
- საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 წლის 10 დეკემბერი;
- საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“, 1999 წლის 23 ივლისი;
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, 2012 წლის 8 მაისი;
- საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“, 2007 წლის 14 დეკემბერი;
- საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მის მიმდინარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, 2000 წლის 10 ნოემბერი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ტყის კოდექსი“, 1999 წლის 22 ივნისი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, 1997 წლის 15 მაისი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, 2003 წლის 6 ივნისი;
- საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, 1996 წლის 26 დეკემბერი;
- საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“, 1997 წლის 16 ოქტომბერი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, 1999 წლის 25 ივნისი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 1997 წლის 14 ნოემბერი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, 1999 წლის 23 ივლისი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წლის 15 დეკემბერი;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის #98 დადგენილება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #26 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #25 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის #3 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 აგვისტოს #313 დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის

– ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის #93 დადგენილებით „საქართველოს გარემოს დაცვის, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, უფლებამონაცვლეობის განსაზღვრისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების შექმნის შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #54 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის“ დამტკიცების შესახებ“;

ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივა „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ (ინგლისურ ენაზე); Directive 2004/35/CE of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 on environmental liability with regard to the prevention and remedying of environmental damage. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32004L0035:EN:NOT>

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2000/60/EC წყლის ჩარჩო დირექტივა (ინგლისურ ენაზე); Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy. ხელმისაწვდომია EUR-Lex-ის მონაცემთა ბაზაში: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000L0060:EN:NOT>

ევროკომისიის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაცია გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის საკითხების შესახებ (ინგლისურ ენაზე): <http://ec.europa.eu/environment/legal/liability/> ;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (არაოფიციალური ვერსია ინგლისურ ენაზე) და მოგვიანებით გამოქვეყნებული ევროკავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013\\_en.htm](http://eeas.europa.eu/georgia/assoagreement/assoagreement-2013_en.htm);

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია ევროკავშირის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action\\_plans/georgia\\_enp\\_ap\\_final\\_en.pdf](http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf) ;

მწვანე ალტერნატივა, 2013. „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება: ჰორიზონტული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

Nino Chokheli, David Kereselidze, 2000. *Civil Liability for damage resulting from activities dangerous to the environment under Georgian legislation*, Georgian-European Policy and Legal Advice Centre, 2000;

Ketevan Gujaraidze, 2001. *Civil Liability for Damage Resulting from Activities Dangerous to the Environment: Obligation to Compensate for Damage Caused by Hazardous Substances Under Georgian Legislation*, Assignment for the course Environmental Policy and Law to Promote Cleaner Production, Master of Science in Environmental Management and Policy, Lund, Sweden, April 2001.

## დანართი: საქართველოს ძირითადი გარემოსდაცვითი საერთაშორისო ხელშეკრულებების არასრული სია

1. კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ;
2. ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი;
3. კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ;
4. კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ;
5. ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენცია;
6. მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ;
7. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენცია;
8. შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის კონვენციის შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების კონსერვაციის ოქმი;
9. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია;
10. კიოტოს ოქმი;
11. კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ;
12. გაეროს კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ;
13. შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენცია;
14. გაეროს კონვენცია გაულდაბნობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
15. როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პოცედურის შესახებ;
16. კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და განთავსების შესახებ;
17. კონვენცია გემებიდან დაბინძურების თავიდან აცილების შესახებ;
18. კონვენცია გარეული ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ;
19. შეთანხმება შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ;
20. შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველთა დაცვის შესახებ;
21. შეთანხმება ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვის შესახებ;
22. ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია;
23. შეთანხმება საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე;
24. დამატებითი ოქმი საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე;

25. კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ;
26. გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ;
27. ევროპის ლანდშაფტური კონვენცია.